საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

35221-01-2-201808300934

N 01/35221
30/08/2018

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქ-ნ თამილა ბარკალაიას

ქალბატონო თამილა,

გაცნობებთ, რომ მ/წლის 24 აგვისტოს ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელმა შეხვედრა გამართა ქ. ჰელსინკიში არსებული ევროპის ქიმიური პროდუქციის სააგენტოს (ECHA) აღმასრულებელი დირექტორის მოადგილესთან იუკკა მალმსთან (Jukka Malm) და პროექტების კოორდინატორთან ჯენნი ჰოლმქვისტსთან (Jenny Holmqvist). შეხვედრაზე საუბარი შეეხო სააგენტოსთან ქართული მხარის თანამშრომლობის გაღრმავების ინტერესსა და პერსპექტივებს.

იუკკა მალმის განცხადებით, სააგენტო მზად არის ითანამშრომლოს მესამე ქვეყნებთან და მათ შორის, საქართველოსთან. სააგენტოს წარმომადგენლის თანახმად, ასოცირების შესახებ შეთანხმება ისევე, როგორც „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ კარგ საფუძველს იძლევა ქართულ მხარესთან მომავალი პროდუქტიული ურთიერთობების დასმყარებლად. მისივე განმარტებით, თანამშრომლობის ფარგლებში რაიმე ფინანსური ვალდებულება ან ფორმალური ხელშეკრულების დადების პრაქტიკა არ არსებობს და ECHA მაქსიმალურ დახმარებას უწევს დაინტერესებულ ქვეყნებს.

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ შეხვედრისას აღნიშნა, რომ საქართველოს ხედვისა და სტრატეგიის თაობაზე დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით, საწყის ეტაპზე, სასურველია სააგენტოს დაკავშირება შედგეს უშუალოდ ქართველ ექსპერტებთან. ეს დაეხმარება სააგენტოს გაანალიზოს, თუ რა ტიპის დახმარების გაწევა შეეძლება მას ქართული მხარისათვის. შემდეგ ეტაპად, იუკა მალმის განმარტებით, შესაძლებელი იქნება ქართველ ექსპერტთა ვიზიტის ორგანიზება ფინეთში. თავის მხრივ, სააგენტოს წარმომადგენლები მზად არიან ეწვიონ საქართველოს, მას შემდეგ რაც ინფორმირებულები იქნებიან ისინი, თუ რა ეტაპზე იმყოფება ჩვენი ქვეყანა ქიმიური ნივთიერებების გამოყენების მიმართულებით.

სააგენტოსთან თანამშრომლობის დამყარების მიზნით, შეგიძლიათ უშუალოდ დაუკავშირდეთ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს იუკკა მალმსა და პროექტების კოორდინატორს ჯენნი ჰოლმქვისტს. აქვე, გიგზავნით მათ საკონტაქტო ინფორმაციას:

Mr. Jukka Malm
Deputy Executive Director
Email: Jukka.malm@echa.europa.eu
Tel: +358968618410

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00
ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

Ms. Jenny Holmqvist
Senior Scientific Officer
Coordinator International Affairs and Nanomaterials
Tel. +358 9 6861 88 43 Mobile. +358 50 570 7067
Email: jenny.holmqvist@echa.europa.eu

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი



მინისტრის მოადგილე